



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

„12“ „12“ 2006წ.

№ 02-13/3906

თქვენი 200 წლის „—“ „—“

№ ————— წერილის პასუხად

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ლევან ჭოლაძეს

ბატონო ლევან,

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განიხილა თქვენს მიერ 2006 წლის 15 ნოემბრის №5-14/5806 წერილით წარმოდგენილი „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები და წინადადებები არ გავგაჩნია.

h/2

პატივისცემით

ირაკლი ღვალაძე
მინისტრის მოადგილე

ი რ





საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

№ 6/49-5113

„24“ 11 2006წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ ლევან ჭოლაძეს

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 10 ნოემბრის №5-14/5701 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული წერილით წარმოდგენილი „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ეხება არა მარტო კორუფციულ, არამედ ზოგადად სამოხელეო დანაშაულებს. იგი ითვალისწინებს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას როგორც კორუფციული დანაშაულების აღკვეთაში, ასევე მათ პრევენციაში. კონვენციის შესაბამისად, მხარეებს შორის თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ სფეროებს: სამართლებრივი და ოპერატიული ინფორმაციების გაცვლა, ტექნიკური დახმარება, კორუფციაში დამნაშავე პირთა ექსტრადიცია, დამნაშავე მოხელეთა საბანკო ანგარიშების გაყინვა, ქონების კონფისკაცია და მომთხოვნი წევრი ქვეყნისათვის გადაცემა და სხვა. კონვენცია აგრეთვე იძლევა კორუფციის გამოვლენის ყველა ფორმაზე სისხლის სამართლებრივი იურისდიქციის გავრცელების უფლებურ მექანიზმს. კონვენციაში ცალკე მუხლებად არის მოცემული წევრი ქვეყნების სამართალდამცავ და კომპეტენტურ ორგანოთა თანამშრომლობის სფეროები.

ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველომ აღნიშნულ კონვენციასთან შეერთების ვალდებულება აიღო ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ხელმოწერით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასთან საქართველოს შეერთება მიზანშეწონილად მიაჩნია.

პატივისცემით,

ეკატერინე ზღულაძე
მინისტრის მოადგილე





№ 04/2551

27 . 11 2006 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ ლევან ჭოღლაძეს

ბატონო ლევან,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ განიხილა თქვენს მიერ
№5-14/5802 წერილით გადმოგზავნილი გაერთიანებული ერების
ორგანიზაციის კონვენცია „კორუფციის შესახებ“.

წარმოდგენილ კონვენციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ
ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

არჩილ მამათელაშვილი






"28" 11 2006 წ. № 17/3587/3-6

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ ლევან ჭოლაძეს

ბატონო ლევან,

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი 2006 წლის 14 ნოემბრის № 5-14/5744 წერილი, "კორუფციის წინააღმდეგ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასთან საქართველოს მიერთების თაობაზე.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია და მიზანშეწონილად მიიჩნევს "კორუფციის წინააღმდეგ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასთან საქართველოს მიერთებას.

 პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

თ. კოვზიძე





№ 07-04/12 388

05 " 12 2006

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ლევან ჭოლაძეს

ბატონო ლევან,

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი 2006 წლის 14 ნოემბრის №5-14/5742 წერილი, რომელიც ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას კორუფციის წინააღმდეგ.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმოდგენილი კონვენციის მიმართ ფინანსური ხასიათის შენიშვნები არ აქვს. ამასთან, დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების საქართველოს მხარის მიერ გასაწევი ხარჯების დაფინანსება შესაბამისმა სამინისტროებმა და/ან უწყებებმა უნდა განახორციელონ მათთვის საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში.

წ. ა. ავალიანი
წ. ავალიანი

პ. ვატივისცემით,
პ. ვატივისცემით

დირექტორი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
კულტურის, ძეგლთა დაცვისა
და სპორტის სამინისტრო



Ministry of Culture, Monuments
Protection and Sport of
Georgia

№ 17/13/6510

„ 7 “ 2006 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2006 წლის 14 ნოემბრის №5-14/5758 წერილით წარმოდგენილი, „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნულ კონვენციასთან დაკავშირებით სამინისტროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

მინისტრი

გ. გაბაშვილი





საქართველო
GEORGIA

თავდაცვის სამინისტრო
MINISTRY OF DEFENCE

№ 2/1283
26 " 12 2006 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ ლევან ჭოლაძეს

ბატონო ლევან,

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხილულ იქნა თქვენი 2006 წლის 15 ნოემბრის №5-14/5805 წერილით წარმოდგენილი „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. კონვენციის მე-2 მუხლის „ა)“ ქვეპუნქტში საჯარო თანამდებობის პირად მიჩნეულია „ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას, მათ შორის საჯარო უწყებისათვის ან საჯარო საწარმოსათვის, ან ახორციელებს რაიმე სახის საჯარო მომსახურებას...“. აღნიშნული განმარტება ზრდის საჯარო სამსახურში კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ საქართველოს კანონმდებლობის რეგულირების სფეროში შემავალ პირთა წრეს.


ამდენად, ზემოაღნიშნული განმარტების ასახვა უნდა მოხდეს საქართველოს შესაბამის კანონმდებლობაში.

2. კონვენციის ქართულენოვან ვარიანტში მოცემული ტერმინოლოგია (მაგ.: გულზრახვა, შეცნობა, ქონების ან დოკუმენტის დაპატიმრება; აფილირებული, კონფისკაცია და სხვა) დასახვეწია და შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს კანონმდებლობასთან.

პატივისცემით,

ლევან ნიკოლეიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე






საქართველოს
გენერალური პროკურატურა
Office of the Prosecutor General of Georgia

კ 1304 2007/96

200

თ. თბილისი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ ლევან ჭოლაძეს



ბატონო ლევან,

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ განიხილა თქვენი აწლის 10 ნომბრის №5-14/5702 წერილით წარმოდგენილი „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს კონსტიტუციაში განმტკიცებულია პრინციპი, რომლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდგომ აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიმართ. შესაბამისად, „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის განხილვა უნდა წარმოებდეს იმ კუთხით, თუ რა ცვლილებებს გამოიწვევს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში აღნიშნულ კონვენციასთან მიერთება, მისი რატიფიკაცია და შემდგომ ეტაპზე კონვენციის ძირითადი დებულებების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია.

ამასთან, საქართველოს სახელმწიფოსთვის წარმოდგენილი კონვენციის საუკლდებულო ძალის აღიარების საკითხის განხილვისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინება:

1. კონვენციის მე-2 მუხლში საჯარო თანამდებობის პირის განმარტებისას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიღმა ცალკე გამოყოფილია ადმინისტრაციული ორგანოები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლში განმარტებულია „ადმინისტრაციული ორგანოს“ ცნება და მასში თავისთავად საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები მოიაზრება (ამავე კოდექსის მე-3 მუხლით კოდექსის მოქმედების სფეროსთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით).

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემულია საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ამომწურავი ჩამონათვალი. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს

„საჯარო საწარმოს“ ცნებას, რომელიც მოხსენიებულია კონვენციის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში – კანონმდებლობით განმტკიცებულია მხოლოდ ისეთი საწარმოს ინსტიტუტი, რომელშიც განსაზღვრულია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ფარგლებში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ტექსტის ინგლისურ ვარიანტში მოცემული "public enterprise" სწორედ ისეთ საწარმოს ნიშნავს, სადაც სახელმწიფოს წილი 50%-ზე მეტს შეადგენს.

3. კონვენციის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტში (და შემდგომ – კონვენციის ტექსტში) მოცემულ ტერმინ „კონფისკაციასთან“ დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ეს უკანასკნელი წარმოადგენს ადმინისტრაციული სახდელის სახეობას, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში. თუმცა, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მასში არა ადმინისტრაციული, არამედ სისხლისსამართლებრივი სანქცია იგულისხმება. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა სასჯელის სახით ითვალისწინებს დანაშაულის საგნისა და იარაღის, ასევე დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლების ჩამორთმევას (ქონების ჩამორთმევა), რაც შესაბამისობაშია კონვენციაში მოცემულ „კონფისკაციის“ შინაარსთან, მიზანშეწონილია კონვენციის ტექსტში „კონფისკაცია“ შეიცვალოს „ქონების ჩამორთმევით“, რაც საეჭვოდ აღარ გახდის პასუხისმგებლობის მითითებული ზომის ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი სანქციისადმი მიკუთვნების საკითხს.

4. კონვენციის მე-2 მუხლში მოცემულია „ძირითადი სამართალდარღვევის“ დეფინიცია და ნათქვამია, რომ „ძირითად სამართალდარღვევად“ მიიჩნევა ნებისმიერი სამართალდარღვევა, რომლის შედეგად მიღებულ შემოსავალზე შეიძლება განხორციელდეს კონვენციის 23-ე მუხლით განსაზღვრული ქმედებები, რომლებიც ქმნიან დანაშაულის შემადგენლობას.

კონვენციის 23-ე მუხლი, თავის მხრივ, მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებების გატარებას, რათა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად ჩაითვალოს მთელი რიგი სამართალდარღვევები უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის სფეროში.

ამდენად, თუ „23-ე მუხლით განსაზღვრული ქმედებებში“ იგულისხმება კონკრეტული სამართალდარღვევები, რომლებიც ჩამოთვლილია 23-ე მუხლში, მაშინ ასეთი ქმედებები, კონვენციის შესაბამისად, ქმნიან კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობას, თუმცა, ფრაზა: „ძირითადი სამართალდარღვევის შედეგად მიღებულ შემოსავალზე შეიძლება განხორციელდეს კონვენციის 23-ე მუხლით განსაზღვრული ქმედებები რომლებიც ქმნიან დანაშაულის შემადგენლობას“, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და გაუმართავია შინაარსობრივი თვალსაზრისით.

5. კონვენციის მე-6 და 36-ე მუხლები ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს ისეთი ორგანოს შექმნას, რომელიც სპეციალიზებულია კორუფციასთან ბრძოლაში და განახორციელებს კორუფციის თავიდან აცილებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2006 წლის 28 მარტს №155 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში მოცემულია გეგმის სრულყოფილად განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი და დადგენილია მითითებულ ღონისძიებათა გატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოები (გენერალური პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო,

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და სხვ.). თითოეული მათგანი ორიენტირებულია გვერდის ცალკეული პუნქტების შესრულებაზე და, შესაბამისად, მათი საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. ამდენად, მოცემულ ეტაპზე საფუძველსმოკლებულია ანალოგიური ფუნქციებით აღჭურვილი ახალი სპეციალიზებული ორგანოს შექმნაზე მსჯელობა.

6. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემულია საჯარო სამსახურში დასაქმებულ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში – იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად. ამავე კანონის 63-ე მუხლით დადგენილია, რომ საჯარო მოხელეს არ აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება (მას შეუძლია ფლობდეს მხოლოდ აქციებს და წილს). ამდენად, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში მოცემულ „კერძო სექტორში მომუშავე საჯარო თანამდებობის პირის“ ცნებას.

7. კონვენციის მე-17 მუხლი დანაშაულად მოიაზრებს საჯარო თანამდებობის პირის მიერ ძარცვას და მის განკარგულებაში მყოფი ქონების მითვისებას. აღნიშნული დანაშაულები გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე და 182-ე მუხლებით. ძარცვის შემადგენლობაში დანაშაულის სუბიექტად მოიაზრება ზოგადი სუბიექტი, მათ შორის, თანამდებობის პირიც (ანალოგიური უნდა აღინიშნოს კონვენციის 22-ე მუხლთან მიმართებაშიც, რომელიც დასჯად ქმედებად აცხადებს ძარცვას კერძო სექტორში). მითითებული მუხლის მსგავსად, 182-ე მუხლის პირველი ნაწილი ზოგადი ნორმის სახით არის ჩამოყალიბებული (და ითვალისწინებს ნივთის არსებობას მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში), მე-2 ნაწილი კი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ მითვისებას, რაც კონვენციის მე-17 მუხლის ნორმის თანახმად, სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედებად მოიაზრება, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა.

8. წარმოდგენილი კონვენციის მე-20 მუხლის ამოქმედება (რომელიც სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედებად აცხადებს უკანონო გამდიდრებას, ანუ თანამდებობის პირის აქტივების მნიშვნელოვან ზრდას, როდესაც იგი იმდენად აჭარბებს მის კანონიერ შემოსავალს, რომ მას არ შეუძლია ეს გონივრულად დაასაბუთოს) გამოიწვევს თანამდებობის პირის უკანონო გამდიდრების კრიმინალიზაციის მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის აუცილებლობას, ვინაიდან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხორციელების შესაძლებლობას თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით თავად ასეთი ქმედების (უკანონო გამდიდრების) სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად მიჩნევის გარეშე.

9. კონვენციის 24-ე მუხლი ითვალისწინებს კორუფციული დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული ქონების დამალვას დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის მიუხედავად, – ანალოგიური ნორმა განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით, რომელიც, კონვენციისაგან განსხვავებით, სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად მიიჩნევა წინასწარ შეუპირებლად მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვას (რაც ვერ იმოქმედებს კონვენციის შესაბამისად კრიმინალიზებულ ყველა ქმედებასთან

მიმართებაში, ვინაიდან მათი ნაწილი მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას).

ანალოგიური უნდა ითქვას კონვენციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიმართ, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად ჩაითვლება იმ ქმედების მომზადება, რომელიც კონვენციის მიხედვით დანაშაულად არის მიჩნეული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის.

10. კონვენციის 28-ე მუხლით განზრახვა, გულზრახვა და შეცნობა დანაშაულის შემადგენელ ელემენტებად არის მიჩნეული. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს გულზრახვის ცნებას და, შესაბამისად, ვერ მოიაზრებს მას დანაშაულის შემადგენელ ელემენტად; რაც შეეხება შეცნობას, იგი წარმოადგენს დანაშაულის სუბიექტური მხარის ინტელექტუალური ელემენტის ნიშანს და მისი არსებობა ნებელობით ელემენტთან ერთად ღვინდება არა დამოუკიდებლად, არამედ სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ბრალეულობის განსაზღვრის ეტაპზე.

11. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ამომწურავად არის განსაზღვრული პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობები და დადგენილია ვადები, რომელთა გასვლის შემდეგაც შესაძლებელია მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება. აღნიშნული ვადები დიფერენცირებულია არა კონკრეტული დანაშაულის საშიშროების ხარისხის (როგორც ეს კონვენციის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტით არის გათვალისწინებული), არამედ კანონმდებლობით განსაზღვრული დანაშაულის კატეგორიების მიხედვით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონვენციის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი ვადამდე და პირობით გათავისუფლებას სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ღონისძიებებად მიიჩნევს, მაშინ, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით პირობით ვადამდე გათავისუფლება ერთიანი ღონისძიების სახეს ატარებს.

12. საქართველოს კანონმდებლობისათვის უცნობია ასევე ქონების გაყინვისა და დაპატიმრების (კონვენციის 31-ე და 54-ე მუხლები) ცნება. სარჩელის, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების ან ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობა ადგენს მხოლოდ ქონებაზე ყადაღის დადების, როგორც სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების აღსრულების მექანიზმს.

13. კონვენციის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მოწმეთა, ექსპერტთა და დაზარალებულთა დასაცავად კავშირგაბმულობის სხვადასხვა საშუალებების, მათ შორის, ვიდეოკავშირის გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნულ ინსტიტუტს არ იცნობს სსსკ. 109¹ მუხლი, სადაც მოცემულია პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალურ ღონისძიებათა ამომწურავი ჩამონათვალი.

ანალოგიურად, კონვენციის 46-ე მუხლის მე-18 პუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი პირის (მოწმის, ექსპერტის) მოსმენას სხვა სახელმწიფოს სასამართლო ორგანოების მიერ ვიდეოკავშირის საშუალებით. სსსკ. 250-ე მუხლი კი მსგავსი მიზნების მისაღწევად შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ სახელმწიფოს მოქალაქის (მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის) გამოძახებას სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის.

14. კონვენციის 44-ე მუხლის სათაურში (და შემდგომ – ტექსტში) ტერმინი „გაცემა“ უნდა შეიცვალოს „ექსტრადიციით“, ვინაიდან საქართველოს

კანონმდებლობა განამტკიცებს სწორედ ამ უკანასკნელ ტერმინს. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობით დიფერენცირებულია „ექსტრადიციისა“ და „გადაცემის“ ინსტიტუტები („გადაცემა“ გულისხმობს საქართველოს მოქალაქის, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემას), კონვენციის 44-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, მის ტექსტში გამოყენებულ უნდა იქნეს ტერმინი „ექსტრადიცია“.

15. კონვენციის 46-ე მუხლის მე-14 პუნქტი ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევებში მონაწილე სახელმწიფოთა სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნის ზეპირად გაგზავნის შესაძლებლობას. სსსკ. 248-ე მუხლის მე-5 ნაწილი კი საგანგებო შემთხვევაში შესაძლებლად მიიჩნევს შუამდგომლობის გადაცემას ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (და არა ზეპირად), რაც შემდეგ უნდა დადასტურდეს წერილობით.

16. კონვენციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები დასაშვებად მიიჩნევენ განაჩენის გამოტანის გარეშე ქონების კონფისკაციას დამნაშავეის დარღვევების, მისი მიმალვის ან სხვა შემთხვევებში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ სარჩელის აღძვრას თანამდებობის პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 30 დღის ვადაში.

17. კონვენციის 52-ე მუხლი ითვალისწინებს საბანკო დაწესებულების მიერ მესაკუთრე-ბენეფიციარის პირადობის დადგენას, თუ მის მიერ ანგარიშზე დეპონირებულია დიდი მოცულობით ფულადი სახსრები და ანგარიშს აწარმოებენ ისეთი პირები, რომლებიც ფლობენ ან ადრე ფლობდნენ მნიშვნელოვან საჯარო უფლებამოსილებებს. საყურადღებოა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ბენეფიციარის, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ცნება, მოცემულია საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში და მასში იგულისხმება არა ანგარიშის მწარმოებელი პირი, არამედ სხვა პირის (პრინციპალის) კრედიტორი, რომლის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკრედიტო დაწესებულება კისრულობს გადახდის ვალდებულებას. ამდენად, ადგილი აქვს ტერმინთა შეუსაბამობას საბანკო კანონმდებლობის სფეროში კონვენციასა და ეროვნულ კანონმდებლობას შორის, რაც უნდა გამოსწორდეს მომავალში შესაძლო გაუგებრობათა თავიდან აცილების მიზნით.

18. კონვენციის 44-ე („გაცემა“) და 46-ე („სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევა“) მუხლებთან დაკავშირებით დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციასთან საქართველოს სახელმწიფოს მიერთების შემთხვევაში სრულად უნდა იყოს დაცული პირის ექსტრადიციის, ასევე სამართლებრივი დახმარების შესახებ წინამდებარე კონვენციის მოთხოვნები – საქართველოს მხარემ კონვენციასთან მიერთების დოკუმენტში უნდა გააკეთოს დათქმა 44-ე მუხლის მე-ნ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ექსტრადიციის საკითხებში კონვენციის დებულებათა გამოყენების თაობაზე. ამასთან, მიზანშეწონილია კონვენციის 46-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, გაეროს გენერალურ მდივანთან კონვენციაზე მიერთების დოკუმენტის დეპონირებისას, სამართლებრივი დახმარების დროს გამოყენებულ უნებაბად განისაზღვროს ქართული ან ინგლისური.

აქვე გაცნობებთ, რომ მთლიანობაში კონვენციის ტექსტი საჭიროებს დახვეწას კონვენციის ძირითად ინგლისურენოვან ტექსტსა და მის ქართულენოვან თარგმანს შორის შეუსაბამობათა აღმოფხვრის მიზნით.

დასასრულს, უნდა აღნიშნოს, რომ კონვენცია წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ საერთო სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ამსახველ შემაჯამებელ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს. სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კორუფციული სამართალდარღვევების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა. კორუფციული დანაშაული საფრთხეს უქმნის ნებისმიერი ქვეყნის (განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების), მათ შორის, საქართველოს ეკონომიკურ, ფისკალურ და სავაჭრო ინტერესებს, რისი დაძლევის აუცილებელი წინაპირობაა აღნიშნული ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის განვითარება და საერთაშორისო ურთიერთობების მოდერნიზაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდა ანტიკორუფციული მიმართულების ღონისძიებები, სადაც გარკვეულწილად უკვე ასახულია კონვენციაში მოყვანილი მთელი რიგი დებულებები (2006 წლის 25 ივლისის კანონით სამოხელეო დანაშაულთა რიცხვს შეემატა ზეგავლენით ვაჭრობა, შემოღებულ იქნა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი და სხვ.).

პატივისცემით,

ნიკა გვარამია
გენერალური პროკურორის მოადგილე





საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND
SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 01-05/06/1702

"2" "03" 2007წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2006 წლის 14 ნოემბრის №5-14/574 წერილით წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1. კონვენციის მე-12 მუხლის მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს საჯარო და კერძო სექტორში მომუშავე საჯარო თანამდებობის პირთა პროფესიულ შეზღუდვების დაწესებას მათი დაკავებული საქმიანობიდან ჩამოშორების შემდგომ. ვფიქრობთ, აღნიშნული მუხლი ერთგვარი შეზღუდვაა პირის სოციალური უფლებების განხორციელების თვალსაზრისით, რადგან იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პროფესიით მომუშავე ადამიანი დროებით იკავებს მაგალითისთვის, ადმინისტრაციული ფუნქციების თანამდებობას, გადადგომის შემდეგ, მას უნდა ჰქონდეს თავისი პროფესიული საქმიანობით საბუშაოს გაგრძელების შესაძლებლობა, რამდენადაც, უმრავლეს შემთხვევაში, პირის უნარჩვევები და განათლება დაკავშირებულია ერთ კონკრეტულ პროფესიასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, გაუგებარია, რის მიხედვით მოხდება „საჭიროების განსაზღვრა“, რომლის საფუძველზეც მოხდება ხსენებული შეზღუდვა, ყოფილი საჯარო თანამდებობის ან კერძო სექტორში მომუშავე პირს გადადგომის ან პენსიაზე გასვლის შემდეგ.

2. კონვენციის მე-12 მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კორუფციული ქმედებების გამოვლენის მიზნით, კერძო ორგანიზაციების ანგარიშები და მოთხოვნილი საფინანსო უწყისები უნდა ექვემდებარებოდეს აუდიტსა და სერტიფიკაციის სათანადო პროცედურებს. გაუგებარია, თუ რა წესით უნდა მოხდეს ორგანიზაციების ანგარიშებისა და მოთხოვნილი საფინანსო უწყისების სერტიფიკაცია. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, შესაძლებელია მოიაზრებოდეს, აუდიტის განმახორციელებელი აუდიტების სერტიფიკაცია და არა დოკუმენტაციის სერტიფიკაცია.

ირაკლი გორგობიანი

მინისტრის მოადგილე





განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

№ 01-15-08-2/20599
„13“ 12 2006წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს, ბატონ ლევან ჭოლაძეს

ბატონო ლევან,

მიმდინარე წლის 14/11 №5-14/5740 თქვენი წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ ჩვენი
სამინისტროს დასკვნას კორუფციის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების
ორგანიზაციის კონვენციის შესახებ.


გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია “კორუფციის წინააღმდეგ”,
წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს ანტიკორუფციული ღონისძიებების
გატარებისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. დოკუმენტში გამოთქმულია
წუხილი იმის გამო, რომ კორუფცია გახდა ტრანსნაციონალური მოვლენა, იგი
იქცა ორგანიზებული დამნაშავეობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად და მოიცვა
როგორც კერძო, ისე სამთავრობო სტრუქტურები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის
კონვენციას გააჩნია სამი ძირითადი მიზანი:

1. კორუფციის ასაცილებლად და მასთან საბრძოლველად ღონისძიებების
გატარება;
2. კორუფციის, მასთან ბრძოლისა და თავიდან აცილებისათვის საერთაშორისო
ტექნიკური დახმარების წახალისება, გამარტივება და მხარდაჭერა, მათ
შორის, აქტივების დასაბრუნებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
3. პატიოსნების, მოუსყიდველობისა და პასუხისმგებლობის, აგრეთვე საჯარო
საქმეებისა და საჯარო ქონების სათანადო მართვის წახალისება.

დოკუმენტის მე-2 თავში მოცემულია კორუფციის თავიდან ასაცილებლად
განსახორციელებელი ღონისძიებები, რომელთაგან, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია:

1. კორუფციასთან ბრძოლაში საზოგადოების ჩაბმა. ამასთან დაკავშირებით,
გათვალისწინებული უნდა იყოს კორუფციასთან ბრძოლაში ჩაბმული ყველა
მონაწილის უსაფრთხოება, გამჭვირვალობის გაძლიერება, მოსახლეობის
ინფორმირებისათვის ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს
შეუწყობს კორუფციის მიმართ შეურიგებელი ატმოსფეროს შექმნას,
აგრეთვე, საჯარო განათლების პროგრამების შემოღებას ზოგადი და
მაღლესი განათლების დონეებზე;




2. კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი დოკუმენტებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარების შესაბამისობის შეფასება;
3. კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო პროგრამებსა და პროექტებში მონაწილეობა;
4. კორუფციის თავიდან აცილების საკითხებზე ცოდნის გაღრმავება და გაერცვლება;
5. კორუფციასთან ბრძოლის სპეციალიზირებული ორგანოების ჩამოყალიბება;
6. კორუფციასთან ბრძოლის მიზნით, საჯარო თანამდებობის პირთა მოუსყიდველობისა და პატიოსნების წახალისება;
7. საჯარო თანამდებობის პირთა არასამსახურებრივი საქმიანობის იმ ნაწილის შესწავლა, რომელიც დაკავშირებულია დამატებითი შემოსავლის წყაროებთან;
8. მოსამართლეთა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა პატიოსნებისა და მოუსყიდველობის განმტკიცება ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობას;
9. პროკურატურის მუშაკთა პატიოსნებისა და მოუსყიდველობის განმტკიცება, თუ ისინი არ შედიან სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობაში და არ სარგებლობენ ისეთივე დამოუკიდებლობით, როგორც სასამართლო ორგანოები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციის წინააღმდეგ კონვენცია შედგენილია მაღალპროფესიულ დონეზე, მასში გათვალისწინებულია როგორც სამოქალაქო, ისე იურიდიული ასპექტები.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ კონვენციასთან შეერთება დიდად შეუწყობს ხელს საქართველოში კორუფციის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას, მის წინააღმდეგ ბრძოლასა და ამ პროცესში საზოგადოების ყველა ფენის ჩართვას.

გისურვებთ წარმატებებს და მზად ვართ შემდგომი თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,



ალექსანდრე დიდებულიძე
მინისტრის პირველი მოადგილე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
G E O R G I A

იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

№ 01/23/05-468
22 " 01 2007 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ლევან ჭოლაძეს


ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 10 ნოემბრის №5-14/5703 წერილის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „კორუფციის წინააღმდეგ“ კონვენცია და გაცნობებთ:

1. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის მე-14 აბზაცში ფრაზა „კონვენცია კორუფციასთან დაკავშირებით სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ შეიცვალოს ფრაზით „კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენცია“. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ კონვენციასა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 1997 წლის 21 ნოემბრის საერთაშორისო კომერციულ გარიგებებში უცხო ქვეყნის თანამდებობის პირთა მოსყიდვის შესახებ კონვენციას საქარველო მიერთებული არ არის.

2. კონვენციის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით განმარტებული ტერმინი „საჯარო თანამდებობის პირი“ საქართველოს კანონმდებლობით განმარტებული არ არის, თუმცა აღნიშნული ტერმინი კანონმდებლობისათვის უცნობი არ არის. შესაბამისად, კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს კანონმდებლობაში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და განიმარტოს ზემოაღნიშნული ტერმინი.

3. კონვენციის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტით განმარტებული ტერმინის „უცხო ქვეყნის საჯარო თანამდებობის პირი“ უცნობია საქართველოს კანონმდებლობისათვის. კონვენციის ამავე მუხლის „გ“ პუნქტით განმარტებული ტერმინი „საერთაშორისო ორგანიზაციის საჯარო თანამდებობის პირი“ უცნობია საქართველოს კანონმდებლობისათვის. თუმცა, გასათვალისწინებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც „ამ მუხლის, ასევე 339-ე და 339¹ მუხლების მიზნებისათვის, მოხელესთან უკავშირებული



პირი ასევე გულისხმობს უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირს (მათ შორის, საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრს), საერთაშორისო ორგანიზაციის ან ორგანოს თანამდებობის პირს ან ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ თანამშრომელს, ასევე ნებისმიერ მივლინებულ ან არამივლინებულ პირს, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირის ან თანამშრომლის ფუნქციების შესაბამის ფუნქციებს, საერთაშორისო საპარლამენტო კრების წევრს, საერთაშორისო სასამართლოს ან სასამართლო ორგანოს მოსამართლეს და თანამდებობის პირს“.

4. კონვენციის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტით განმარტებული ტერმინი „დანაშაულიდან მიღებული შემოსავალი“ შეესაბამება „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით განმარტებულ ტერმინს „უკანონო შემოსავალი“. თუმცა კონვენციისაგან განსხვავებით უკანონო შემოსავალი არ მოიცავს საბაჟო და საგადასახადო სფეროებში ჩადენილი დანაშაულებებიდან მიღებულ შემოსავალს.

5. კონვენციის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტში და შემდგომ ტექსტში ტერმინი „ოპერაციის შეჩერება (გაყინვა) ან დაპატიმრება“ უცნობია საქართველოს კანონმდებლობისათვის, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ქონებაზე ყადაღის დადებას – „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ XXIV თავის შესაბამისად.

6. კონვენციის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტსა და 31-ე მუხლში ტერმინი „კონფისკაცია“, საქართველოს კანონმდებლობისთვის თანახმად არის ადმინისტრაციული სახდელის სახე და ნიშნავს „იმ საგნის კონფისკაციას, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს, უშუალო ობიექტს ან საბაჟო წესების დარღვევის საგანს, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალებას წარმოადგენდა“. თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი ითვალისწინებს მსგავსი შინაარსის ინსტიტუტს „ქონების ჩამორთმევის“ სახით.

7. კონვენციის მე-2 მუხლის „თ“ პუნქტით განმარტებული ტერმინი „ძირითადი სამართალდარღვევა“ უცნობია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის.

8. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის მე-5 მუხლის სათაურსა და ტექსტში გაუგებარია ფრაზა „კორუფციის უკუქმედება“.

9. კონვენციის მე-6 და 36-ე მუხლებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 28 მარტის №155 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“ ითვალისწინებს „მექანიზმის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სტრუქტურების საქმიანობის დამოუკიდებლობას“, ჯერჯერობით აღნიშნული ხასიათის საკანონმდებლო დონისძიება გატარებული არ არის.

10. კონვენციის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში ტერმინი „სამოქალაქო მოსამსახურე“ ნაკლებადაა ცნობილი საქართველოს კანონმდებლობისათვის. ამავ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს კადრების როტაციის სისტემის შექმნას, დაცვასა და განმტკიცებას იმ საჯარო თანამდებობებზე, რომლებიც განსაკუთრებულად მოწყვლადია კორუფციის თვალსაზრისით. ასეთი სისტემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, აუცილებელია სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება იმ

საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც აწესრიგებენ საჯარო სამსახურში მიღებისა და სამსახურის გაელის წესს.

11. მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში გამოყენებული ტერმინი „არასაბანკო ფინანსური დაწესებულება“ და მე-2 პუნქტში გამოყენებული „ტრანსსასაზღვრო გადარიცხვების“ ტერმინი საქართველოს კანონმდებლობაში არ გამოიყენება.

12. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის მე-17 მუხლის სათაურში და შემდგომში ტექსტში ფრაზა „დატაცება“ და ამავე მუხლში ფრაზა „ძარცვა“ უნდა შეიცვალოს ფრაზით „გაფლანგვა“ ინგლისურენოვანი ტექსტის შესაბამისად. აგრეთვე, ამავე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს „რაიმე ქონების“ გაფლანგვა ან მითვისება. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ამ კონვენციის თანახმად, „ქონება“ მოიცავს მოძრავ და უძრავ ნივთებსაც, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის შესაბამისად, მითვისება ან გაფლანგვა ვრცელდება მხოლოდ მოძრავ ნივთებზე.

13. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის მე-18 მუხლის სათაურში ფრაზა „ანგარების მიზნით ზეგაველენის ბოროტად გამოყენება“, მართებულია, შეიცვალოს ფრაზით „ზეგაველენით ვაჭრობა“ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339¹ მუხლისა და ინგლისურენოვანი ტექსტის შესაბამისად. აგრეთვე, ქართულენოვანი ტექსტის ამავე მუხლის „ბ“ პუნქტში და 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტში ფრაზა „გამოძალდა“ შეიცვალოს ფრაზით „მოთხოვნა“ – ინგლისურენოვანი ტექსტის შესაბამისად.

14. კონვენციის მე-20 მუხლში მოცემული ტერმინი „უკანონო გამდიდრება“ არ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობაში. აგრეთვე, ამ მუხლის მიმართ, გასათვალისწინებელია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21⁹ მუხლი, რომლის თანახმადაც, „სასამართლო დაადასტურებს, რომ თანამდებობის პირის, ... მფლობელობაში იმყოფება უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება და სასამართლო პროცესის მსვლელობისას თანამდებობის პირის მიერ ჩადენილ ქმედებაში გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, პროკურორი იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას“.

15. 22-ე მუხლში ტერმინი „კერძო საშუალებები“ უცნობია საქართველოს კანონმდებლობისათვის.

16. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს კონვენციის 24-ე მუხლში მითითებულ დასჯად ქმედებას.

17. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის 28-ე მუხლის სათაურში და შემდგომში ტექსტში ფრაზა „გულზრახვა“ შეიცვალოს ფრაზით „ჩანაფიქრი“ ინგლისურენოვანი ტექსტის შესაბამისად. აგრეთვე, ამავე მუხლის თანახმად „ჩანაფიქრი“ დანაშაულის ჩადენის შესახებ შეიძლება დადგინდეს საქმის ობიექტური ფაქტობრივი გარემოებებით. ჩანაფიქრი, როგორც სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი ელემენტი, არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით. კონვენციისაგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დანაშაული ისჯება მცდელობის და/ან მომზადების ეტაპიდან.

18. კონვენციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის, მე-40 მუხლისისა და 46-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიმართ, გასათვალისწინებელია საქართველოს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები,

რომელთა თანახმადაც, „ცნობები ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშების, ან ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ შეიძლება მიეცეს შესაბამისი ანგარიშის მფლობელს და მათ წარმომადგენელს, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მიეცემა მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი აქტის საფუძველზე.“ აგრეთვე, „სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს, აგრეთვე საგადასახადო სამსახურებს ეკრძალებათ სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანოებისათვის“

19. კონვენციის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნტან და 46-ე მუხლის მე-18 პუნქტთან მიმართებით, გასათვალისწინებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 109¹ მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, „სასამართლო სხდომაზე პროცესის მონაწილე იკითხება უშალოდ და ზეპირად“.

20. კონვენციის 42-ე მუხლთან მიმართებით, მიზანშეწონილია, გაკეთდეს დათქმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიების მიმართ.

21. კონვენციის 44-ე მუხლთან მიმართებით, გასათვალისწინებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის „ა“ პუნქტი, რომლის თანახმადაც, „ექსტრადიცია არ დაიშვება თუ პირს მიცემული აქვს პოლიტიკური თავშესაფარი საქართველოში ან მინიჭებული აქვს ლტოლვილის სტატუსი საქართველოში“.

22. კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით გასათვალისწინებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც, „არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დენიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით“.

23. კონვენციის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ტერმინი „პოლიტიკური დანაშაული“ უცნობია საქართველოს კანონმდებლობისათვის.

24. კონვენციის 44-ე მუხლის მე-12 პუნქტში ტერმინთან „გადაცემა“ მიმართებით, გასათვალისწინებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 46-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, „საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების მიზნებისათვის გადაცემა ნიშნავს, სახელმწიფოს მიერ პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად“.

25. კონვენციის 46-ე მუხლის მე-15 პუნქტთან მიმართებით, გასათვალისწინებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, „საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობა უნდა შედგეს წერილობით, შუამდგომლობის გამგზავნის ხელმოწერით. იგი დამოწმებული უნდა იყოს დაწესებულების გერბიანი ბეჭდით“.

26. კონვენციის 46-ე მუხლის 29-ე პუნქტში მითითებული ტერმინი „სამთავრობო მასალები“ უცნობია საქართველოს კანონმდებლობისათვის.

27. კონვენციის 49-ე მუხლთან მიმართებით, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ტერმინს „ერთობლივი გამოძიება“. თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე თავი განსაზღვრავს სასამართლოს, პროკურორის, გამოძიებლის ურთიერთქმედებას საზღვარგარეთის სახელმწიფოთა შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებთან სამართლებრივი დახმარების გაწევის წესებს.

28. კონვენციის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ტერმინი „ფიზიკური დასწრება“ უცნობია საქართველოს კანონმდებლობისათვის. ამავე მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ფინანსური დაწესებულებებისადმი ისეთი მოთხოვნების დადგენა, რომ მათ უარი განაცხადონ ან შეწყვიტონ საკორესპონდენტო ურთიერთობები უცხოურ საფინანსო ინსტიტუტებთან, რომლებიც ნებას რთავს, თავისი ანგარიშები გამოიყენონ ბანკებმა, რომელთაც არ გააჩნიათ ფიზიკური დასწრება, არ არიან გაერთიანებული რომელიმე რეგულირებად ფინანსურ ჯგუფთან. საქართველოს კანონმდებლობით აღნიშნული შეზღუდვები დაწესებული არ არის, თუმცა „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, არაკოოპერირებად (არამოთანამშრომლედ) ზონასა ან ოფშორულ ზონასთან გატარებული გარიგებები ექვემდებარება მონიტორინგს.

29. კონვენციის 52-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებსა და სანქციებს არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

30. კონვენციის 53-ე და 54-ე მუხლებთან მიმართებით, გასათვალისწინებელია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ადგენს რა შემთხვევებში აქვს საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია.

31. კონვენციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ პუნქტთან მიმართებით გასათვალისწინებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც „მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ — ქონების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით“

32. წარმოდგენილი კონვენცია საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის „ე“ შესაბამისად, საჭიროებს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას.

33. წარმოდგენილ კონვენციასზე შეერთების შემთხვევაში, გაეროს გენერალურ მდივანს უნდა ეცნობოს:

- კონვენციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონთა ტექსტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ მუხლის დებულებათა შესრულებას, აგრეთვე ამ კანონებთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი შემდგომი ცვლილებები და განმარტებები;

- კონვენციის 44-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია;

- კონვენციის 46-ე მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტის შესაბამისად, იმ ორგანოს შესახებ, რომელიც უფლებამოსილია სამართლებრივი დახმარების განხორციელებაზე და მისაღები ენის ან ენების თაობაზე;

- კონვენციის 55-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, იმ კანონებისა და წესების ტექსტები, აგრეთვე ნებისმიერი შემდგომი ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფილია 55-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებების შესრულება;

- კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოში არსებული იმ ანტიკორუფციული ორგანოსა ან ორგანოების ჩამონათვალი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სხვა მონაწილე სახელმწიფოებს კორუფციის თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებასა და გატარებაში.

კონვენციის ქართულენოვანი ტექსტი საჭიროებს სტილისტური ხასიათის შემდეგ შესწორებებს:

1. ამავე მუხლის პირველ პუნქტსა და შემდგომში კონვენციის ქართულენოვან ტექსტში ფრაზა „ფუძემდებლური პრინციპები“, მიზანშეწონილია, შეიცვალოს ფრაზით „ძირითადი პრინციპები“.

2. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში და შემდგომში ტექსტში ფრაზა „ვაჭრობა“ შეიცვალოს ფრაზით „ტენდერი“; ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვა „დროულად“ – სიტყვით „წინასწარ“, ხოლო მე-2 პუნქტში სიტყვა „ანგარიშგების“ – სიტყვით „ანგარიშვალდებულების“ – ინგლისურენოვანი ტექსტის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-3 პუნქტში ფრაზა „დოკუმენტაციის ფალსიფიცირება“ შეიცვალოს ფრაზით „დოკუმენტაციის გაყალბება“.

3. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში ფრაზა „სახელშეკრულებო დამოკიდებულება“, მართებულია, შეიცვალოს ფრაზით „სახელშეკრულებო ურთიერთობა“ – საქართველოს კანონმდებლობისა და ინგლისურენოვანი ტექსტის შესაბამისად.

4. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის მე-19 მუხლის სათაურში ფრაზა „თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“, მართებულია, შეიცვალოს ფრაზით „სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება“ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის შესაბამისად.

5. 23-ე მუხლის სათაურში ფრაზა „დანაშაულიდან მიღებული შემოსავლის გათეთრება“, მართებულია, შეიცვალოს ფრაზით „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)“ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის შესაბამისად.

6. 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ii“ ქვეპუნქტში ფრაზა „განკარგვის მეთოდი“, მიზანშეწონილია, შეიცვალოს ტერმინით „განკარგვა“.

7. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის 27-ე მუხლის სათაურში ფრაზა „ხელყოფა“ შეიცვალოს ფრაზით „მცდელობა“ ინგლისურენოვანი ტექსტის შესაბამისად.

8. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტში ფრაზა „პირობითი განთავისუფლება“ შეიცვალოს ფრაზით „პირობით ვადამდელი განთავისუფლება“ – ინგლისურენოვანი ტექსტის შესაბამისად.

9. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის 42-ე მუხლის პირველ პუნქტში და შემდგომში ტექსტში სიტყვა „გაცემა“ უნდა შეიცვალოს სიტყვით „ექსტრადიცია“ – ინგლისურენოვანი ტექსტის შესაბამისად.

10. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის 44-ე მუხლის მე-10 პუნქტში სიტყვა „დაპატიმრება“ შეიცვალოს სიტყვით „დაკავება“.

11. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტში და შემდგომში ტექსტში ფრაზა „აქტივების ამოღება“ შეიცვალოს ფრაზით „ქონების ჩამორთმევა“ – ინგლისურენოვანი ტექსტის შესაბამისად.

12. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში ფრაზა „საგნობრივი მტკიცებულებები“ შეიცვალოს სიტყვით „მტკიცებულებები“.

13. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტი შესაბამისობაშია მოსაყვანი ინგლისურენოვან ტექსტთან (მაგ.: პრეამბულის მე-12 აბზაცი, პირველი მუხლის „ბ“ პუნქტი, მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი, მე-2 მუხლის „ზ“, მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, მე-10 მუხლის „გ“ პუნქტი, მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი, 30-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-9 პუნქტები, 34-ე მუხლი, 35-ე მუხლი, 44-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 46-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-12, მე-13 და მე-19 პუნქტები, 52-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 53-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები, 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და ა.შ.) წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული შესაძლებელია გახდეს კონვენციის დებულებების განსხვავებული განმარტების საფუძველი.

ამასთან ერთად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „კორუფციის წინააღმდეგ“ კონვენციასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, კონვენციის შინაარსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონვენცია შეთანხმებულ იქნეს ყველა დაინტერესებულ უწყებასთან.

თავის მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო კიდევ ერთხელ გამოთქვამს მზადყოფნას მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 28 მარტის №155 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის 16.1 პუნქტის შესრულების მიზნით.

ლ.ჩ. პატივისცემით,

დიმიტრი ძაგნიძე
მინისტრის მოადგილე

